

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა

შპს „GN ELECTRIC“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

თბილისი

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი დადებულია 9 მარტი, 2015 წ. შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

მეორე მხრივ, შპს „GN ELECTRIC“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდი: 404945752, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩაჩხიანის მიერ;

მესამე მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგზე:

I - განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
 - 1.2. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეს/დღეებს.
 - 1.3. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურს - „რაჩხა ჰესი“.
 - 1.4. „ელექტროენერჯისგარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის მე-IV თავის გათვალისწინებით იდება კომპანიას და „ესკო“-ს შორის.
 - 1.5. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
 - 1.6. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და ესკო-ს ერთობლივად.
 - 1.7. „პროექტი“ ნიშნავს ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლას, მის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
 - 1.8. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.

II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების მიხედვით და ამ მემორანდუმში შეთანხმებული პირობებით და ვადებში პროექტის განხორციელება.

III - სამშენებლო ფაზა

3. სამშენებლო ფაზა იწყება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და სრულდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ფაქტობრივ დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადისა.
4. სამშენებლო ფაზაში კომპანია ვალდებულია:
 - 4.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
 - 4.2. მიიღოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მემორანდუმის პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა);
 - 4.3. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა;



- 4.4. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიიღოს ელექტროსადგური;
 - 4.5. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
 - 4.6. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სხვა მოთხოვნების შესაბამისად.
 - 4.7. კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
 - 4.8. კომპანია შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
5. სამშენებლო გარანტია
 - 5.1. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში კომპანია ვალდებულია მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია 1 025 000.00 (ერთი მილიონ ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ვადა უნდა აღემატებოდეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადას 5 თვით.
 - 5.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავედროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.
 - 5.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავედროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.
 - 5.4. მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოთ აღნიშნული სამშენებლო გარანტია და მიიღოს სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაიხადა მემორანდუმის 5.2 და 5.3 მუხლებით განსაზღვრული დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
 - ბ) მთავრობა წყვეტს მემორანდუმს მე-9 მუხლის ნებისმიერი პუნქტის საფუძველზე - არსებული სამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით.

IV-ელექტროენერჯის რეალიზაცია

6. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე. ელექტროსადგურის მიერ გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობა აისახება



შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერჯის წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ზე ნაკლებია, მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერჯის წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის მიეწოდება „ესკო“-ს ზამთრის შემდგომ თვე(ებ)ში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს ესკო. სხვაობა ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-სა და ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს გათვალისწინებული მომდევნო წელს.

7. მემორანდუმის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეებში, კომპანია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციას განახორციელებს მიერთების წერტილში 5,0 აშშ ცენტის ტარიფით. მემორანდუმის მე-6 მუხლში აღნიშნული საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განახორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.;

V - მემორანდუმის გაუქმება

8. წინამდებარე მემორანდუმი ძალას კარგავს და გაუქმებულად ჩაითვლება შემდეგ შემთხვევებში:
 - 8.1. მხარეების წერილობით შეთანხმების საფუძველზე - ასეთი შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული;
 - 8.2. კომპანიამ არ შეასრულა მემორანდუმის 5.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება - ავტომატურად, მემორანდუმის 5.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე.
9. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 9.1. 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დაკისრებული ჯარიმების ოდენობა მიაღწევს სამშენებლო გარანტიის მთლიანი ოდენობის 50%-ს ან მეტს.
 - 9.2. 5.3 პუნქტით გათვალისწინებული დაკისრებული ჯარიმების ოდენობა მიაღწევს სამშენებლო გარანტიის მთლიანი ოდენობის 50%-ს ან მეტს.
 - 9.3. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე.
 - 9.4. კომპანიამ არსებითად დაარღვია მემორანდუმის ან/და მისი დანართების ნებისმიერი პირობა, რის შედეგადაც მემორანდუმი კარგავს მის თავდაპირველ მნიშვნელობას. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის პირობების არსებით დარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს კომპანიის მიერ მუშა პროექტის საფუძველზე მიღებული არგუმენტირებული ტექნიკური გადაწყვეტილება პროექტისათვის სიმძლავრის გაზრდის თაობაზე.
 - 9.5. კომპანიის მიერ მოწოდებული ან მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 დღეზე მეტი ვადით.
10. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:



- 10.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლებები) გადაეცემა მთავრობას უსასყიდლოდ.
- 10.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება.
- 10.3. კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტების და ნახაზების (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტების) გამოყენების ექსკლუზიური უფლება გადაეცემა მთავრობას.
11. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 11.1. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე.
12. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 12.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლებები) გადაეცემა მთავრობას უსასყიდლოდ.
 - 12.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება.
 - 12.3. კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტების და ნახაზების (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტების) გამოყენების ექსკლუზიური უფლება გადაეცემა მთავრობას.
 - 12.4. მთავრობამ უნდა დააბრუნოს არსებული საბანკო გარანტია.

VI - მთავრობის ვალდებულებები

13. მთავრობას ვალდებულია:
 - 13.1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალური დაეხმარება გაუწიოს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს ამ მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
 - 13.2. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას.

VII - მემორანდუმის ცვლილება

14. ცვლილებები
 - 14.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე
 - 14.2. თუ ამ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება დაკარგავს ძალას, ეს არ იქონიებს გავლენას სხვა დებულებებზე.

VIII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

15. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.



16. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX - ფორს-მაჟორი

17. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან ნებისმიერი უბედურება ან მსგავსი მოვლენა.
18. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულებების ვადა გადაიწევეს ფორს-მაჟორული მოვლენების მოქმედების ვადის შესაბამისად.
19. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 წელზე მეტი ვადით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინემდებარე მემორანდუმი მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

X - დამატებითი დებულებები

20. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.
21. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

XI - ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა


კახა კალაშვილი

შპს „GN ELECTRIC“

ნიკოლოზ ჩაჩხიაძე

სს „ელექტროენერჯის სისტემების კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე




დანართი N1

#	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები (მ.ზ.დ.)		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
1	რაჩა ჰესი	ცაგერის მუნიციპალიტეტი, მდინარე რაჩხა	589	360	31,5 მლნ. კვტ.სთ.	10,25 მგვტ.



სამშენებლო ფაზა	
სამშენებლო ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება
2 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან	30 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010160871312714

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a. Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№10212

21 / ნოემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 13 ნოემბრის №04/4164 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „GN Electric“-ს შორის დასადები ურთიერთგაგების შემორანდუმის პროექტი და გაცნობებით, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ცხიცივაძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე




ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 011/1201

03 12 2014წ.



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმის
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2014 წლის 13 ნოემბრის #04/4165 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „GN ELECTRIC“-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.


პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

ვ. ამბოკაძე

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



საქართველოს მთავრობის ბანკარგელება


№2498 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „GN ELECTRIC“-ს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „GN ELECTRIC“-ს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ორაკლი დარიბაშვილი